



დებიტორ/კრედიტორების ბიზნეს ობიექტი

ვნახოთ როგორ ხდება დებიტორ/კრედიტორების ბიზნეს ობიექტთან მუშაობა. კერძოდ დებიტორ/კრედიტორების ბიზნეს ობიექტის გამოყენებით შევასრულოთ შემდეგი მოქმედებები:


1. [დებიტორ/კრედიტორების სიის ამოღება, ფილტრაცია](#)
2. დებიტორ/კრედიტორის დამატება, კორექტირება, წაშლა.
 - 2.1 [დებიტორ/კრედიტორის დამატება](#)
 - 2.2 [დებიტორ/კრედიტორის კორექტირება](#)
 - 2.3 [დებიტორ/კრედიტორის წაშლა.](#)
3. საბანკო რეკვიზიტების, მისამართის, ტელეფონის დამატება
 - 3.1 [საბანკო რეკვიზიტების დამატება](#)
 - 3.2 [მისამართის დამატება](#)
 - 3.3 [ტელეფონის დამატება](#)

დებიტორ/კრედიტორების სიის ამოღება, ფილტრაცია


ვნახოთ როგორ ხდება მაკროსით დებიტორ/კრედიტორების სიის ამოღება. გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ადმინისტრირება/მაკროსები“. იხილავთ მაკროსების სიას, რაც სისტემას მიყვება. ახალი მაკროსის დასამატებლად დააჭირეთ დამატების ღილაკს- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „GetDebtorCreditorList“, ხოლო კომენტარში- „დებიტორ/კრედიტორების სიის ამოღება“



დააჭირეთ ღილაკს OK. ნახავთ რომ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი დაემატება მაკროსების სიაში.




| კომენტარი | დასახელება | მაკროსის ტიპი | საქ |
|-----------------------------------|--------------------------------|---------------------------|-----|
| ხელფასის დარიცხვის უწყისი-FitPass | SalaryAccruedReport - FittPass | 4 - ხელფასის მაკროსი. | |
| თანხის შეტანა სალაროდან ბანკში | MyMacro | 0 - უნივერსალური მაკროსი. | |
| ანგარიშის დამატება | CreateAccount | 0 - უნივერსალური მაკროსი. | |
| ანგარიშების სიის ამოღება | GetAccountList | 0 - უნივერსალური მაკროსი. | |
| ანგარიშის წაშლა | DeleteAccount | 0 - უნივერსალური მაკროსი. | |
| დებიტორ/კრედიტორების სიის ამოღება | GetDebtorCreditorList | 0 - უნივერსალური მაკროსი. | |


მაკროსში ცვლილებების შესატანად, ფორმულების დასაწერად გავხსნათ მაკროსი. ამისათვის ღილაკების სისტემიდან დააჭირეთ ღილაკს .




იგივე ღილაკის გამოყენება შეგიძლიათ ამოცანების მენიუდან „ინსტრუმენტები/გავხსნათ მაკროსი F11“




იხილავთ ეკრანს, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. ძირითად ეკრანში ხდება მაკროსის ოპერატორების (ფორმულების) დამატება, ხოლო ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულია სისტემის მიერ გამზადებული ობიექტების სია, რომელიც დაგვეხმარება მაკროსების წერაში.




ჩვენი მიზანია ამოვიღოთ დებიტორ/კრედიტორების სია. ამისათვის გამოვიყენოთ სისტემის მიერ გამზადებული ბიზნეს ობიექტი (Business Object), რომელიც მდებარეობს ეკრანის მარჯვენა ნაწილში. მაუსით დააჭირეთ Business Object -ის წინ არსებულ „+“ ნიშანს და გაშალეთ „BO_DebitorCreditor“




დებიტორ/კრედიტორების სიის ამოსაღებად აირჩიეთ  ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. დაინახავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება დებიტორ/კრედიტორების ამოღებისთვის საჭირო ბრძანება.




“Table1” იქნება დებიტორ/კრედიტორების ცხრილი. ეკრანზე გამოვიტანოთ ცვლადების არე (თუ რა თქმა უნდა არ არის გამოტანილი), რომელშიც განთავსდება მაკროსის შესრულების შედეგად შევსებული ცვლადების სიდიდეები. ამისათვის აირჩიეთ მენიუ „ხედვა/ცვლადების სიდიდეები“




გავუშვათ მაკროსი შესრულებაზე ღილაკით  , რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეკრანის ქვედა ნაწილში „ცვლადების არეში“ გამოჩნდება ცვლადების ჩამონათვალი, სადაც შეგეძლება ნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიიღო თითოეულმა ცვლადმა (ჩვენს შემთხვევაში: Table1) და აქვე ჩანს ცვლადის ტიპი: ტექსტურია, რიცხვითი, კი და არას ტიპის და ა.შ. (ჩვენი ცხრილის შემთხვევაში Empty)


| Variables | | |
|-----------|-------|---------|
| Name | Value | VarType |
| Table1 | | Empty |


ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.



აირჩიეთ „Table1“. იხილავთ დებიტორ/კრედიტორების ცხრილს.





როგორც ხედავთ სისტემამ ავტომატურად დააფორმირა დებიტორ/კრედიტორების ფილტრის შესაბამისი SQL ბრძანება. მონიშნეთ ბრძანება, გააკოპირეთ და დახურეთ ფილტრის ეკრანი. გადადით მაკროსის ანცობის ეკრანზე, გააკორექტირეთ ცვლადის "Table1" შესაბამისი ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაწკაპებით და მესამე პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში ჩასვით გაკოპირებული ბრძანება. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე: BO_DebitorCreditor.GetDataTable(ActiveDatabase , 0, "[ViewOA_DebitorCreditors].[Is person]=0", "") ვნახოთ როგორ შეავსებს ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსი დებიტორ/კრედიტორების ცხრილს. ღილაკების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი  და ცვლადების არეში ჩამოშლადი სიიდან აირჩიეთ "Table1"





როგორც ხედავთ დებიტორ/კრედიტორების ცხრილი „Table1“ გაიფილტრა ჩვენს მიერ გაფილტრული მონაცემებით.

დებიტორ/კრედიტორის დამატება


მაკროსების საშუალებით ასევე შესაძლებელია ახალი დებიტორ/კრედიტორის დამატება, თვისების მინიჭება/კორექტირება და წაშლა. განვიხილოთ მაგალითი. დავამატოთ დებიტორ/კრედიტორი: ს/ნ 202300202. დასახელება შპს „არგო“. გამოიძახეთ მენიუ „ამოცანები/ადმინისტრირება/მაკროსები“. დაამატეთ ახალი მაკროსი ღილაკით- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „AddDebitorCreditor“, ხოლო კომენტარში- „დებიტორ/კრედიტორის დამატება“



დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ "BO_DebitorCreditor /AddNew" მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.






დებიტორ/კრედიტორის დამატების შემდეგ აუცილებელია მივანიჭოთ მას გარკვეული თვისებები. ჩვენს შემთხვევაში დებიტორ/კრედიტორს განვუსაზღვროთ საიდენტიფიკაციო ნომერი და დასახელება. ამისათვის ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_DebitorCreditor/ Code /Set“



დაემატება ცვლადი BO_DebitorCreditor.Code. გააკორექტირეთ ცვლადის შესაბამისი ბრძანება მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და მიუთითეთ საიდენტიფიკაციო ნომერი „202300202“. ამის მსგავსად დებიტორ/კრედიტორს მივანიჭოთ დასახელება. ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „ BO_DebitorCreditor/Name/Set“. გააკორექტირეთ ახალ დამატებული ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ დასახელება - „შპს არგო“. დებიტორ/კრედიტორი რომ დაემატოს და შენახულ იქნას მონაცემთა ბაზაში, დადექით ბოლო ცვლადზე და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_DebitorCreditor / Update“ საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე.

| | ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-----|--------------------|---|
| 1 | Variable1 | BO_DebitorCreditor.AddNew(ActiveDatabase) |
| 2 | BO_DebitorCredi... | "202300202" |
| ▶ 3 | BO_DebitorCredi... | "შპს არგო" |
| 4 | Variable2 | BO_DebitorCreditor.Update() |


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“




| კოდი | დასახელება | კატეგორია | მისამართი |
|-------------|-------------------|-----------|--------------|
| 01016002526 | ია იამე | თბილისი | ყაზბეგის 14 |
| 01016002626 | ანა სიგუა | თბილისი | რუსთაველი 26 |
| 202202202 | შპს "მომწოდებელი" | | |
| 206322102 | სატესტო კოდი1 | | |
| 201300201 | შპს დილბა | | |
| 202300202 | შპს არგო | | |

როგორც ხედავთ სიაში დაემატა დებიტორ/კრედიტორი.

დებიტორ/კრედიტორის კორექტირება

მაკროსის საშუალებით ასევე შესაძლებელია დებიტორ/კრედიტორს შევუცვალოთ თვისება. მაკროსის საშუალებით გავაკორექტიროთ ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორი (ს/ნ 202300202, შპს არგო) და შევუცვალოთ მისამართის ველი (ალ.ყაზბეგის 45). ამისათვის დაგვხვდება მაკროსების სიაში და დავამატოთ ახალი მაკროსი ღილაკით- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „EditDebitorCreditor“, ხოლო კომენტარში- „დებიტორ/კრედიტორის კორექტირება“



ახალი მაკროსი

მშობელი: []

დასახელება: EditDebitorCreditor


ტიპი: 0 - უნივერსალური მაკროსი.


გაუშვით სისტემის დასტარტვისას

დავმალოთ (არ ვაჩვენოთ და არც გაუშვით)

კომენტარი: დებიტორ/კრედიტორის კორექტირება



OK Close

დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . იმისათვის რომ დებიტორ/კრედიტორი გავაკორექტიროთ, თავდაპირველად უნდა მოხდეს გასაკორექტირებელი დებიტორ/კრედიტორის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_DebitorCreditor/Get“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



ბრძანების ხაზში BO_DebitorCreditor.Get("", ActiveDatabase) ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ გასაკორექტირებელი დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „202300202“. საბოლოოდ ფორმულას ეწენება შემდეგი სახე BO_DebitorCreditor.Get("202300202", ActiveDatabase). მისამართის მისათითებლად ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, დებიტორ/კრედიტორის ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_DebitorCreditor / Address /Set“. გააკორექტირეთ ახალდამატებული ცვლადის შესაბამისი ბრძანების ხაზი და მიუთითეთ „აღ.ყაზბეგის 45“. საბოლოოდ შედეგის მისაღებად მონიშნეთ ბოლოს დამატებული ცვლადი და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_DebitorCreditor /Update“. მაკროსს ეწენება შემდეგი სახე:

| | ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-----|----------------------------|---|
| 1 | Variable1 | BO_DebitorCreditor.Get("202300202", ActiveDatabase) |
| 2 | BO_DebitorCreditor.Address | "აღ.ყაზბეგის 45" |
| ▶ 3 | Variable2 | BO_DebitorCreditor.Update() |


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ მაკროსმა შეავსო თუ არა დებიტორ/კრედიტორის მისამართი. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“


| კოდი | დასახელება | ქალაქი | მისამართი |
|-------------|-------------------|---------|----------------|
| 01016002526 | ია იამე | თბილისი | ყაზბეგის 14 |
| 01016002626 | ანა სიგუა | თბილისი | რუსთაველი 26 |
| 202202202 | შპს "მომწოდებელი" | | |
| 206322102 | სატესტო კოდი1 | | |
| 201300201 | შპს დელტა | | |
| ▶ 202300202 | შპს არგო | | აღ.ყაზბეგის 45 |

როგორც ხედავთ სიაში დებიტორ/კრედიტორს „შპს არგო“ მიეთითა მისამართი.



დებიტორ/კრედიტორის ნაშლა

ვნახოთ როგორ ხდება მაკროსის საშუალებით დებიტორ/კრედიტორის ნაშლა. გადადით მაკროსების სიაში. დაამატეთ კიდევ ერთი მაკროსი და შეავსეთ ფანჯარა შემდეგნაირად




დააჭირეთ ღილაკს OK. ცვლილებების, ფორმულების შესატანად გახსენით ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი ღილაკით . ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_ DebitorCreditor /Delete“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში BO_ DebitorCreditor.Delete("", ActiveDatabase) ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ ნასაშლელი დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „202300202“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი BO_ DebitorCreditor.Delete("202300202", ActiveDatabase). შედეგის მისაღებად მონიშნეთ ცვლადი Variable1 და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_ DebitorCreditor /Update“. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

| | ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-----|-----------|---|
| 1 | Variable1 | BO_ DebitorCreditor.Delete("202300202", ActiveDatabase) |
| ▶ 2 | Variable2 | BO_ DebitorCreditor.Update() |


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე. ამისათვის ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. ვნახოთ ჩვენს მიერ დაწერილ მაკროსმა ნაშალა თუ არა დებიტორ/კრედიტორი. ამისათვის გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“ განაახლეთ ეკრანი. დაინახავთ რომ დებიტორ/კრედიტორი 202300200 შპს არგო სიაში აღარ დაგხვდებათ.

საბანკო რეკვიზიტების დამატება

მაკროსის საშუალებით დებიტორ/კრედიტორს დავუმატოთ საბანკო ანგარიშები. თავდაპირველად დავამატოთ ახალი დებიტორ/კრედიტორი - ს/ნ 202500200 , დასახელება - შპს არგო2022 და განვუსაზღვროთ ანგარიში (GB123TB123500) თიბისი ბანკში. გადადით მაკროსების სიაში. მოძებნეთ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი AddDebitorCreditor და გახსენით ღილაკით . იხილავთ დებიტორ/კრედიტორის დამატების მაკროსს.



| | ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-----|-------------------------|---|
| ▶ 1 | Variable1 | BO_DebitorCreditor.AddNew(ActiveDatabase) |
| 2 | BO_DebitorCreditor.Code | "202300202" |
| 3 | BO_DebitorCreditor.Name | "შპს არგო" |
| 4 | Variable2 | BO_DebitorCreditor.Update() |


გააკორექტირეთ ცვლადის BO_DebitorCreditor.Code შესაბამისის ბრძანების ხაზი და შეცვალეთ კოდი „202500200“. ამის მსგავსად შეცვალეთ დასახელება „შპს არგო2022“. საბანკო ანგარიშების დასამატებლად უნდა გამოვიყენოთ ობიექტი GetDataTableDebitorCreditorBankAccounts, რათა ამოვიღოთ დებიტორ/კრედიტორების საბანკო რეკვიზიტების ცხრილი. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი BO_DebitorCreditor.Name და ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_DebitorCreditor/GetDataTableDebitorCreditorBankAccounts“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



დაინახავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება ცხრილის ამოსაღებად საჭირო ბრძანება.

| | ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-----|-------------------------|--|
| 1 | Variable1 | BO_DebitorCreditor.AddNew(ActiveDatabase) |
| 2 | BO_DebitorCreditor.Code | "202500202" |
| 3 | BO_DebitorCreditor.Name | "შპს არგო2022" |
| ▶ 4 | Table1 | BO_DebitorCreditor.GetDataTableDebitorCreditorBankAccounts() |
| 5 | Variable2 | BO_DebitorCreditor.Update() |

“Table1” იქნება ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორის შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების ცხრილი. სწორედ ამ ცხრილში უნდა დავამატოთ ყველა საბანკო ანგარიში, რომელიც გააჩნია დებიტორ/კრედიტორს. სანამ გავუშვებდეთ მაკროსს შესრულებაზე და დავასრულებდეთ ყველა ბრძანების დაწერას დავბლოკოთ (დავაკომენტაროთ) ცვლადი Variable2, რათა მაკროსის გაშვების დროს რეალურად არ მოხდეს დებიტორ/კრედიტორის დამატება მონაცემთა ბაზაში. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი Variable2 და ინსტრუმენტების ბოლიდან აირჩიეთ ღილაკი . Variable2 ცვლადი მიიღებს მწვანე შეფერილობას. ღილაკით  გაიშვით მაკროსი, რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ეკრანის ქვედა ნაწილში, ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.



აირჩიეთ „Table1“. იხილავთ ბრძანებს ობიექტის მიერ დაფორმირებულ საბანკო რეკვიზიტების ცხრილს


| ცვლადი | ბრძანების ხაზი | კომენტარი |
|----------------------------|--|-----------|
| 1 Variable1 | BO_DebitoreCreditor.AddNew(ActiveDatabase) | |
| 2 BO_DebitoreCreditor.Code | "202500202" | |
| 3 BO_DebitoreCreditor.Name | "შპს არგო2022" | |
| 4 Table1 | BO_DebitoreCreditor.GetDataTableDebitoreCreditorBankAccounts() | |
| 5 Variable2 | BO_DebitoreCreditor.Update() | |

| Table1 | OA_DebitoreCre | OA_DebitoreCre | OA_BanksID | Account | Bank code | Bank name | Code | Comment | S |
|--------|----------------|----------------|------------|---------|-----------|-----------|------|---------|---|
| | | | | | | | | | |



აქვე ნაჩვენებია საბანკო ანგარიშის შესავსებად საჭირო ყველა ველი. საბანკო ანგარიშის დასამატებლად ცხრილში „Table1“ ჯერ უნდა დავამატოთ ჩანაწერი, ხოლო შემდეგ ჩვენს მიერ დამატებულ ჩანაწერს მივანიჭოთ ბანკის კოდი და ანგარიშის ნომერი. ჩანაწერის დასამატებლად ბრძანების არეში დადებით ცვლადზე Table1 და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Memory object/Tables/ AddNewRecord“. იხილავთ ბრძანებას Tables.AddNewRecord("Table1") . დამატების შემდეგ ამ ჩანაწერს შევუვსოთ ბანკის კოდი და ანგარიშის ნომერი. ვნახოთ როგორ ხდება ცხრილში არსებული ჩანაწერისთვის მნიშვნელობების მინიჭება. ანგარიშის ნომრის მისათითებლად მონიშნეთ ცხრილის ქუდი „Account“, რათა ცხრილში მნიშვნელობის მინიჭების ფუნქციამ ავტომატურად დააფორმიროს იმ ცხრილის და ველის დასახელება, სადაც შეგვაქვს მნიშვნელობები.

| Table1 | OA_DebitoreCre | OA_DebitoreCre | OA_BanksID | Account | Bank code | Bank name | Code | Comment | SequenceNumber |
|--------|----------------|----------------|------------|---------|-----------|-----------|------|---------|----------------|
| | | | | | | | | | |

ფორმულების არეში დადებით ცვლადზე “ Variable3 ” და ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული ობიექტების მენიუდან აირჩიეთ „Memory object/Tables/SetFieldValue“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "") ფუნქციის პირველი პარამეტრი „Table1“ არის საბანკო რეკვიზიტების ცხრილი, ფუნქციის მეორე პარამეტრი -1 აღნიშნავს ჩანაწერის ინდექსს, ჩვენს შემთხვევაში პირველ ჩანაწერს. ფუნქციის მესამე პარამეტრი „Account“- ანგარიშის ველს, ხოლო მე-4 პარამეტრში უნდა მივუთითოთ ანგარიშის ნომერი, მაგალითად „GB123TB123500“. ანგარიშის ნომერი მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი, ორჯერ დააწკაპეთ ამ ფორმულაზე და მიუთითეთ ანგარიშის ნომერი. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "GB123TB123500"). ამავე ცხრილში შევავსოთ ბანკის კოდის ველიც. ამისათვის ცვლადების არეში მონიშნეთ ცხრილის „Table1“ ქუდი „Bank code“, ისევ აირჩიეთ Memory object/Tables/SetFieldValue“ და ბრძანების ხაზში მე-4 პარამეტრში მიუთითეთ მაგალითად თიბისი ბანკის კოდი „TBCBGE22“. საბოლოოდ ბრძანებას ექნება შემდეგი სახე - Tables.SetFieldValue("Table1", 1, " Bank code ", „TBCBGE22“). იმისათვის რომ დებიტორ/კრედიტორი საბანკო რეკვიზიტებით დაემატოს და

შენახულ იქნას მონაცემთა ბაზაში, განვბლოკოთ (მოვუხსნათ კომენტარი) ცვლადი Variable2. ამისათვის მონიშნეთ აღნიშნული ცვლადი და ინსტრუმენტების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი . საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:


| ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|---------------------------|---|
| 1 Variable1 | BO_DebitorCreditor.AddNew(ActiveDatabase) |
| 2 BO_DebitorCreditor.Code | "202500202" |
| 3 BO_DebitorCreditor.Name | "შპს არგო2022" |
| 4 Table1 | BO_DebitorCreditor.GetDataTableDebitorCreditorBankAccounts() |
| 5 Variable3 | Tables.AddNewRecord("Table1" |
| 6 Variable4 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "GB123TB123500" |
| 7 Variable5 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Bank code", "TBCBGE22" |
| 8 Variable2 | BO_DebitorCreditor.Update() |


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“. განაახლეთ ეკრანი. დაინახავთ რომ სიაში დაემატა დებიტორ/კრედიტორი. გააკორექტირეთ ჩანაწერი.


როგორც ხედავთ, ეკრანის ქვედა ნაწილში ბარათში „ანგარიშები ბანკში“ დაემატა საბანკო რეკვიზიტები.


მისამართის დამატება

მაკროსის საშუალებით ასევე შესაძლებელია დებიტორ/კრედიტორს შევუვსოთ მისამართები. მაგალითად გავაკორექტიროთ ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორი (ს/ნ 202500202, შპს არგო2022) და დავუმატოთ მისამართების სიაში იურიდიული მისამართი: ქალაქი-თბილისი, ქვეყანა-საქართველო, ქუჩა- ვაჟა ფშაველას 25. ამისათვის დავბუნდეთ

მაკროსების სიაში და დავამატოთ ახალი მაკროსი ღილაკით-  . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „AddDebitorCreditorAdress“, ხოლო კომენტარში- „დებიტორ/კრედიტორის მისამართის დამატება“




დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით  . იმისათვის რომ დებიტორ/კრედიტორს დავუმატოთ მისამართი, თავდაპირველად უნდა მოხდეს დებიტორ/კრედიტორის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_DebitorCreditor/Get“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.




ბრძანების ხაზში `BO_DebitorCreditor.Get("", ActiveDatabase)` ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „202500202“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე `BO_DebitorCreditor.Get("202500202", ActiveDatabase)`. მისამართების დასამატებლად უნდა გამოვიყენოთ ობიექტი


`GetDataTableDebitorCreditorAddresses`, რათა ამოვიღოთ დებიტორ/კრედიტორის მისამართების ცხრილი. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_DebitorCreditor/GetDataTableDebitorCreditorAddresses“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



დაინახავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება ცხრილის ამოსაღებად საჭირო ბრძანება.

| ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-------------|---|
| 1 Variable1 | BO_DebitorCreditor.Get("202500202", ActiveDatabase) |
| 2 Table1 | BO_DebitorCreditor.GetDataTableDebitorCreditorAddresses() |

“Table1” იქნება ჩვენს მიერ მონაცემთა ბაზიდან ამოღებული დებიტორ/კრედიტორის შესაბამისი მისამართების ცხრილი. სწორედ ამ ცხრილში უნდა დავამატოთ მისამართი. ღილაკით  გაუშვით მაკროსი შესრულებაზე, რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ეკრანის ქვედა ნაწილში, ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.



აირჩიეთ „Table1“. იხილავთ ბიზნეს ობიექტის მიერ დაფორმირებულ მისამართების ცხრილს

| OA_DebitorCre | OA_DebitorCre | Address | Comment | SequenceNumbr | City | Zip | OA_CityID | OA_CountryID | Country |
|---------------|---------------|---------|---------|---------------|------|-----|-----------|--------------|---------|
| | | | | | | | | | |



აქვე ნაჩვენებია მისამართის შესავსებად საჭირო ყველა ველი. მისამართის დასამატებლად ცხრილში „Table1“ ჯერ უნდა დავამატოთ ჩანაწერი, ხოლო შემდეგ ჩვენს მიერ დამატებულ ჩანაწერს მივანიჭოთ ქუჩის დასახელება, ქალაქი და ქვეყანა. ჩანაწერის დასამატებლად ბრძანების არეში დადექით ბოლო ცვლადზე და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Memory object/Tables/ AddNewRecord“. იხილავთ ბრძანებას Tables.AddNewRecord("Table1") . დამატების შემდეგ ამ ჩანაწერს შევუვსოთ ქუჩის დასახელების, ქალაქის და ქვეყნის ველები. ვნახოთ როგორ ხდება ცხრილში არსებული ჩანაწერისთვის მნიშვნელობების მინიჭება. ქუჩის დასახელების მისათითებლად მონიშნეთ ცხრილის „Table1“ ქუდი „Address“, რათა ცხრილში მნიშვნელობის მინიჭების ფუნქციამ ავტომატურად დააფორმიროს იმ ცხრილის და ველის დასახელება, სადაც შეგვაქვს მნიშვნელობები.


| OA_DebitorCre | OA_DebitorCre | Address | Comment | SequenceNumbr | City | Zip |
|---------------|---------------|---------|---------|---------------|------|-----|
| | | | | | | |

ფორმულების არეში დადებით ცვლადზე "Table1" და ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული ობიექტების მენიუდან აირჩიეთ „Memory object/Tables/SetFieldValue“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Address", "") ფუნქციის პირველი პარამეტრი „Table1“ არის მისამართების ცხრილი, ფუნქციის მეორე პარამეტრი -1 აღნიშნავს ჩანაწერის ინდექსს, ჩვენს შემთხვევაში პირველ ჩანაწერს. ფუნქციის მესამე პარამეტრი „Address“- მისამართის (ქუჩის დასახელების) ველს, ხოლო მე-4 პარამეტრში უნდა მივუთითოთ ქუჩა. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი, მასზე ორჯერ დაწკაპებით და მიუთითეთ მაგალითად „ვაჟა ფშაველას 25“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Address", "ვაჟა ფშაველას 25"). ამის შემდეგ თანმიმდევრობით მონიშნეთ ჯერ ცხრილის ქუდი „City“, აირჩიეთ Memory object/Tables/SetFieldValue და მიანიჭეთ მას მნიშვნელობა „თბილისი“. შემდეგ მონიშნეთ ცხრილის ქუდი „Country“ და SetFieldValue ფუნქციის გამოყენებით მიუთითეთ „საქართველო“. გაითვალისწინეთ, რომ ბრძანებებში გამოყენებული ქალაქის და ქვეყნის დასახელებები აუცილებლად უნდა იყოს მონაცემთა ბაზის შესაბამის ცხრილებში დამატებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯერ უნდა დაამატოთ ქალაქი და ქვეყანა და შემდეგ გამოიყენოთ მისამართის დამატების ბრძანებაში. ქალაქების ნახვა შესაძლებელია შემდეგ მარშრუტზე „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/ქალაქები“, ხოლო ქვეყნების ნახვა - „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/ქვეყნები“.

შედეგის მისაღებად მონიშნეთ ცვლადი Variable5 და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_DebitorCreditor /Update“. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე: საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

| ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|---------------|--|
| 1 Variable1 | BO_DebitorCreditor.Get("202500202", ActiveDatabase) |
| 2 Table1 | BO_DebitorCreditor.GetDataTableDebitorCreditorAddresses() |
| 3 Variable2 | Tables.AddNewRecord("Table1") |
| 4 Variable3 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Address", "ვაჟა ფშაველას 25") |
| 5 Variable4 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "City", "თბილისი") |
| 6 Variable5 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Country", "საქართველო") |
| ▶ 7 Variable6 | BO_DebitorCreditor.Update() |


გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“. განაახლეთ ეკრანი. გააკორექტირეთ დებიტორ/კრედიტორი „შპს არგო2022“. გადადით ბარათში „მისამართები“




როგორც ხედავთ, დებიტორ/კრედიტორს დაემატა მისამართი.

ტელეფონის დამატება


მაკროსის საშუალებით ასევე შესაძლებელია დებიტორ/კრედიტორს შევუვსოთ ტელეფონის ნომრები. მაგალითად გავაკორექტიროთ ჩვენს მიერ დამატებული დებიტორ/კრედიტორი (ს/ნ 202500202, შპს არგო2022) და დავუმატოთ ტელეფონების სიაში მობილურის ნომერი: 599100100. ამისათვის დავბუნდეთ მაკროსების სიაში და დავამატოთ ახალი მაკროსი ღილაკით- . გამოსულ ფანჯარაში ველში დასახელება მიუთითეთ „AddDebitorCreditorPhone“, ხოლო კომენტარში-„დებიტორ/კრედიტორის ტელეფონის ნომრის დამატება“



დააჭირეთ ღილაკს OK. მასში ფორმულების შესატანად გახსენით მაკროსი ღილაკით . იმისათვის რომ დებიტორ/კრედიტორს დავუმატოთ მისამართი, თავდაპირველად უნდა მოხდეს დებიტორ/კრედიტორის ამოღება მონაცემთა ბაზიდან. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ ფუნქცია „Business Object/BO_DebitorCreditor/Get“ მასზე მუსის ორჯერ დაჭერით.





ბრძანების ხაზში BO_DebitorCreditor.Get("", ActiveDatabase) ფუნქციის პირველ პარამეტრში ორმაგ აპოსტროფებში უნდა მივუთითოთ დებიტორ/კრედიტორის საიდენტიფიკაციო ნომერი. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით და შეიტანეთ მაგალითად ჩვენს შემთხვევაში „202500202“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე BO_DebitorCreditor.Get("202500202", ActiveDatabase). ტელეფონის დასამატებლად უნდა გამოვიყენოთ ობიექტი GetDataTableDebitorCreditorPhones, რათა ამოვიღოთ დებიტორ/კრედიტორის ტელეფონების ცხრილი. ამისათვის ეკრანის მარჯვენა ნაწილში არსებული ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Business Object/BO_DebitorCreditor/ GetDataTableDebitorCreditorPhones“ ფუნქცია მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.




დაინახავთ რომ ძირითად ეკრანში გამზადდება ცხრილის ამოსაღებად საჭირო ბრძანება.

| | ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-----|-----------|--|
| 1 | Variable1 | BO_DebitorCreditor.Get("202500202", ActiveDatabase) |
| ▶ 2 | Table1 | BO_DebitorCreditor.GetDataTableDebitorCreditorPhones() |


“Table1” იქნება ჩვენს მიერ მონაცემთა ბაზიდან ამოღებული დებიტორ/კრედიტორის შესაბამისი ტელეფონების ცხრილი, სადაც უნდა მოხდეს ტელეფონის დამატება. ღილაკით  გაუშვით მაკროსი შესრულებაზე, რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ეკრანის ქვედა ნაწილში, ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - „Variables“ გასწვრივ ჩამოშლადი სია.



აირჩიეთ „Table1“. იხილავთ ბიზნეს ობიექტის მიერ დაფორმირებულ ტელეფონების ცხრილს





აქვე ნაჩვენებია ტელეფონის ნომრის მისათითებლად საჭირო ყველა ველი. ტელეფონის დასამატებლად ცხრილში „Table1“ ჯერ უნდა დავამატოთ ჩანაწერი, ხოლო შემდეგ ჩვენს მიერ დამატებულ ჩანაწერს მივანიჭოთ ნომერი. ჩანაწერის დასამატებლად ბრძანების არეში დადებით ბოლო ცვლადზე და ობიექტების სიიდან აირჩიეთ „Memory object/Tables/AddNewRecord“. იხილავთ ბრძანებას Tables.AddNewRecord("Table1") . დამატების შემდეგ ამ ჩანაწერს შევუვსოთ ტელეფონის ნომრის ველი. ვნახოთ როგორ ხდება ცხრილში არსებული ჩანაწერისთვის მნიშვნელობების მინიჭება. ნომრის მისათითებლად მონიშნეთ ცხრილის „Table1“ ქუდი „Phone“, რათა ცხრილში მნიშვნელობის მინიჭების ფუნქციამ ავტომატურად დააფორმიროს იმ ცხრილის და ველის დასახელება, სადაც შეგვაქვს მნიშვნელობები.



ფორმულების არეში დადებით ცვლადზე “Table1” და ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებული ობიექტების მენიუდან აირჩიეთ „Memory object/Tables/SetFieldValue“ მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. ბრძანების ხაზში Tables.SetFieldValue("Table1", 1, " Phone ", "") ფუნქციის პირველი პარამეტრი „Table1“ არის ტელეფონების ცხრილი, ფუნქციის მეორე პარამეტრი -1 აღნიშნავს ჩანაწერის ინდექსს, ჩვენს შემთხვევაში პირველ ჩანაწერს. ფუნქციის მესამე პარამეტრი „Phone“- ტელეფონის ნომრის ველს, ხოლო მე-4 პარამეტრში უნდა მივუთითოთ ნომერი. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი, მასზე ორჯერ დაწკაპებით და მიუთითეთ მაგალითად „599100100“. საბოლოოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე Tables.SetFieldValue("Table1", 1, " Phone", "599100100"). ამის შემდეგ მონიშნეთ ცხრილის ქუდი „Comment“, აირჩიეთ Memory object/Tables/SetFieldValue და მიანიჭეთ მას მნიშვნელობა „მობილური“. შედეგის მისაღებად მონიშნეთ მონიშნეთ ბოლო ცვლადი და ბიზნეს ობიექტების სიიდან აირჩიეთ „BO_ DebitoreCreditor /Update“. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე: საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

| ცვლადი | ბრძანების ხაზი |
|-------------|---|
| 1 Variable1 | BO_DebitorCreditor.Get("202500202", ActiveDatabase) |
| 2 Table1 | BO_DebitorCreditor.GetDataTableDebitorCreditorPhones() |
| 3 Variable2 | Tables.AddNewRecord("Table1" |
| 4 Variable3 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Phone", "599100100") |
| 5 Variable4 | Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Comment", "მობილური") |
| 6 Variable5 | BO_DebitorCreditor.Update() |

გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით . შეინახეთ მაკროსი ღილაკით  და დახურეთ ეკრანი. გამოიძახეთ მენიუ „ბუღალტერია/დაკავშირებული ცხრილები/დებიტორ/კრედიტორები“. განაახლეთ ეკრანი. გააკორექტირეთ დებიტორ/კრედიტორი „შპს არგო2022“. გადადით ბარათში „ტელეფონები“

როგორც ხედავთ, დებიტორ/კრედიტორს დაემატა ტელეფონი.